



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 057/12¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ანა მუკბანიანი (სტუდენტი)

ფაქტები

ადვოკატმა საჩივარი წარმოადგინა კოლეგის მიმართ. ადვოკატი ზ.ჯ. წარმოადგენდა ადვოკატი ი.ჯ.-ს მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს სამოქალაქო დავის განხილვის პროცესში. კერძოდ, ადვოკატი ი.ჯ. იცავდა მოსარჩელის ინტერესებს, ხოლო ადვოკატი ზ.ჯ. მოპასუხის ინტერესებს. საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ზ.ჯ.-მ მის მიერ წარდგენილ სააპელაციო შესაგებელში მას მიაყენა შეურაცხყოფა, როდესაც სააპელაციო შესაგებელში მიუთითა, რომ ის იყო „გაუგებარი“, ვინაიდან მის და სხვათა მიერ ახსნის მიუხედავად, ვერ გაიგო ექსპერტიზის დასკვნა. საჩივრის ავტორის მითითებით, სააპელაციო სხდომაზე ადვოკატმა ზ.ჯ.-მ მას მატყუარა უწოდა. ადვოკატი ი.ჯ.-მ მიიჩნია, რომ ადვოკატმა ზ.ჯ.-მ შელახა მისი როგორც ადვოკატის ღირსება, შეურაცხყო მისი საქმიანი რეპუტაცია, რითაც დაარღვია პროფესიული ეთიკის ნორმები. როგორც შესაგებლიდან ვიგებთ; აპელანტი მხარის მოთხოვნით სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტებმა დეტალურად და გასაგებ ენაზე აუხსნეს მოსარჩელის წარმომადგენელს სასაქონლო ექსპერტიზის მიზნით ჩატარებული კვლევის მეთოდიკა, იგივე რამდენჯერმე აუხსნა ადვოკატმა ზ.ჯ.-მ და მოსამართლემაც დამატებით განუმარტა ადვოკატ ი.ჯ.-ს, თუმცა როგორც ჩანს მან მაინც ვერ გაიგო სასაქონლო ექსპერტიზის კვლევის მეთოდიკა. ადვოკატის განმარტებით, მის მიერ სააპელაციო შესაგებელში დაწერილი წინადადება არ შეიძლება იყოს შეურაცხმყოფელი და მისი შინაარსიდან გამომდინარე თავის კოლეგას არ უნდა გაეკეთებინა დასკვნა, რომ ის არის „გაუგებარი“. ადვოკატმა აგრეთვე აღნიშნა, რომ მას არც მატყუარა უწოდებია კოლეგისათვის და მას მხოლოდ სიტყვა „ტყუილი“ აქვს ნახსენები.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ შეაფასა ადვოკატ ზ.ჯ.-ს განხორციელებული ქმედებები აპეკ-ის მე-7 მუხლისა და მე-10 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე. აპეკ-ის მე-7 მუხლით ადვოკატები მოვალენი არიან, რომ პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას პატივისცემით მოეპყრონ ერთმანეთს და არ ჩაიდინონ ისეთი საქციელი, რაც შელახავს ერთმანეთის ღირსებას. აპეკ-ის მე-10 მუხლის პირველი ნაწილიც კოლეგის პატივისცემის ვალდებულებას ითვალისწინებს. ადვოკატები სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით იმ „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ გათვალისწინებით, რომელთაც მათი პროფესია აკისრებს. საპროცესო კოლეგიამ აგრეთვე აღნიშნა, რომ ეთიკის კომისია თავისი პრაქტიკით ადვოკატთა გამოხატვის თავისუფლების მაღალ სტანდარტს ადგენს, რომელიც არა მხოლოდ მოსამართლეების, არამედ იურიდიული პროფესიის მქონე სხვა პირების მიმართაც ვრცელდება. ადვოკატ ზ.ჯ.-ს მიერ გაკეთებული შეფასებები იყო კრიტიკული შინაარსის და არ სცილდება გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს. სააპელაციო შესაგებელში და სააპელაციო სასამართლო სხდომაზე გამოხატული შეფასებები შეიძლება არ იყოს იმ ადვოკატისათვის მისაღები, ვის მიმართაც არის მიმართული, მაგრამ აღნიშნული შეფასებები არ არის შეურაცხმყოფელი ხასიათის და ადვოკატის ღირსების შელახვას არ ისახავს მიზნად. საპროცესო კოლეგიამ სხდომის ოქმის გამოკვლევით

¹ <https://gba.ge/pdf/5c529f4c7c74e.pdf/5c529f4c7c74e.pdf>

დაადგინა მოპასუხე ადვოკატის შემდეგი განმარტება; „მხარის მიერ გაკეთებული განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ გარემონტებული, კარგ მდგომარეობაში და შესაფასებელ ობიექტზე კიდევ უფრო კარგ მდგომარეობაში არსებული ბინა არის ერთი და იგივე ფასში შეფასებული არის ელემენტარული ტყუილი ან უბრალოდ მხარე ვერ ერკვევა საქმის ვითარებაში.“ კოლეგიამ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატმა ზ.ჯ-მ მას „გაუგებარი“ და „მატყუარა“ უწოდა, ვინაიდან სააპელაციო შესაგებელში ადვოკატის მიერ გაკეთებული მიმართვები წარმოადგენდა შეფასებით მსჯელობას კონკრეტულ საკითხზე და მისი შინაარსის სისწორე-მცდარობა მთლიანად ავტორის შეხედულებებზე იყო დამოკიდებული. ეთიკის კომისიამ ადვოკატ ზ.ჯ-ს მოსაზრებები შეაფასა მიზნიდან გამომდინარე. ადვოკატმა სააპელაციო შესაგებელში გამოთქვა ვარაუდი კოლეგის ქმედებასთან დაკავშირებით, ხოლო სააპელაციო სასამართლო სხდომაზე ეჭვქვეშ დააყენა საჩივრის ავტორის მიერ გაკეთებული განცხადებების სისწორე. აღნიშნული ქმედებები არ მოიაზრებს განცხადების ავტორის შეურაცხყოფას. საპროცესო კოლეგიის შეფასებით ადვოკატის მიერ მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტების გაბათილება და ეჭვქვეშ დაყენება კლიენტის ინტერესების დაცვას ისახავდა მიზნად და არა კოლეგის შეურაცხყოფას.

დასკვნა

საპროცესო კოლეგიამ ადვოკატ ზ.ჯ-ს მიმართ არ აღძრა დისციპლინური დევნა აპეკ-ის მე-7 მუხლისა და მე-10 მუხლის პირველი ნაწილის შესაძლო დარღვევის საფუძველზე.